ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული იურიდიული პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში "ხელშეკრულების") 8.5 პუნქტის შესაბამისად სს "თიბისი ბანკი" გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

1. <u>შეიცვალოს ხელშეკრულების 11.2.1 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

   11.2.1. კლიენტს დალუქული კონვერტით გადაეცემა სპეციალური სატელეფონო კოდი, რომლის დასახელებითაც ხდება კლიენტის იდენტიფიკაცია სატელეფონო მომსახურების გაწევის წინ. სატელეფონო კოდის დასახელების გარეშე კლიენტი ვერ მიიღებს ამ ხელშეკრულების 11.1.1 ქვეპუნქტში აღწერილ მომსახურებას. ბანკთან ყოველი სატელეფონო კავშირისას (სატელეფონო მომსახურების მიღების ყოველ ჯერზე) კლიენტმა უნდა დაასახელოს სატელეფონო კოდის მხოლოდ სამი ციფრი (სატელეფონო სერვისცენტრის ოპერატორის მითითების შესაბამისად). კლიენტმა არ უნდა დაასახელოს სამზე მეტი ციფრი თითო ჯერზე.

2. <u>გაუქმდეს ხელშეკრულების 11.3.4 ქვეპუნქტი;</u>

3. <u>შეიცვალოს ხელშეკრულების 13.2.1.3 და 13.2.2.1 ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

   13.2.1.3 მობილური ტელეფონის აპარატის ან/და სიმ-ბარათის, ნომრის შეცვლის ან/და დაკარგვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ტელეფონით (ნომერზე +99532 2272727), წერილობით ან ინტერნეტ-ბანკით

   13.2.2.1 კლიენტის მიერ ტელეფონის ნომრის შეცვლის, მობილური ტელეფონის აპარატის ან/და სიმ-ბარათის დაკარგვის თაობაზე ზეპირი (ტელეფონით), წერილობითი ან ინტერნეტ-ბანკის მეშვეობით კლიენტისგან მიღებული შეტყობინების საფუძველზე უზრუნველყოს მოკლე ტექსტური შეტყობინებებით მომსახურების შეჩერება მომსახურების აღდგენის თაობაზე კლიენტის განცხადების მიღებამდე. კლიენტის მიერ ბანკისთვის ზეპირი (სატელეფონო) განცხადების წარდგენის შემთხვევაში კლიენტის იდენტიფიკაცია მოხდება სატელეფონო კოდით ან დამატებითი კითხვების მეშვეობით.

4. <u>გაუქმდეს ხელშეკრულების მე-14 თავი (ელექტრონული საშუალებები (ბანკი-კლიენტი)) სრულად;</u>

5. <u>შეიცვალოს ხელშეკრულების 17.1.3 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

   17.1.3 ბანკის მიერ სახელფასო პროგრამული მოდულით კლიენტის ანგარიშებიდან გადარიცხვის ოპერაციები წარმოებს კლიენტის მიერ ბანკთან წინასწარ შეთანხმებული სპეციალური პროგრამის საშუალებით (დისკეტის, კომპაქტ-დისკის, პროგრამის ინტერნეტ-ბანკი, Excel ფაილის ან db გაფართოების მქონე ფაილის გამოყენებით).

6. <u>შეიცვალოს ხელშეკრულების 17.4.1. ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

   17.4.1 პირადად გადაიღოს (შექმნას) დასაქმებულების პირადობის დამადასტურებელი საბუთების ასლები და დაამოწმოს ამ ასლების დედნებთან შესაბამისობა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული დებულებით („კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ") და "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;